დანართი 1.

დიპლომის დანართის შემუშავების ინსტრუქცია[1]

დიპლომის დანართის ეს მოდელი დამუშავებულია ევროკომისიის, ევროსაბჭოსა და UNESCO/CEPES-ის მიერ. დანართის მიზანია მიაწოდოს დასაბუთებული მიუკერძოებელი მონაცემები საერთაშორისო ,,გამჭვირვალობის" გასაუმჯობესებლად და კვალიფიკაციების (დიპლომების, ხარისხების, სერტიფიკატების და ა.შ) აკადემიური და პროფესიული ცნობის დასაზუსტებლად. მისი მიზანია, აღწეროს დასახელებული პირის მიერ ამ დანართის შესაბამის ორიგინალურ კვალიფიკაციაში გავლილი და წარმატებით დასრულებული სასწავლო პროგრამის ხასიათი, დონე, კონტექსტი, შინაარსი და სტატუსი. აღწერა თავისუფალი უნდა იყოს რაიმე შეფასებითი დასკვნებისაგან, ეკვივალენტობის მტკიცებისა ან აღიარების შესახებ შეთავაზებისაგან. ინფორმაცია უნდა შეივსოს რვავე პარაგრაფში. თუ ინფორმაცია არ არის მოცემული, საჭიროა განიმარტოს მიზეზი.

---

1. კვალიფიკაციის მფლობელის შესახებ საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

1.1 გვარი: *მიუთითეთ კურსდამთავრებულის გვარი.*

დიპლომის დანართის ინგლისურ ვარიანტში კურსდამთავრებულის გვარი მიუთითეთ იმ პრინციპით, რაც პრინციპითაც ხდება საქართველოს მოქალაქეთა გვარის მითითება საქართველოს მოქალაქის ეროვნულ პასპორტში. თუ კურსდამთავრებულს სურს დიპლომის დანართის ინგლისურ ვარიანტში გვარის მითითება განსხვავებული პრინციპით, მან შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

1.2 სახელ(ებ)ი: *მიუთითეთ კურსდამთავრებულის სახელ(ებ)ი.*

დიპლომის დანართის ინგლისურ ვარიანტში კურსდამთავრებულის სახელი მიუთითეთ იმ პრინციპით, რაც პრინციპითაც ხდება საქართველოს მოქალაქეთა სახელის მითითება საქართველოს მოქალაქის ეროვნულ პასპორტში. თუ კურსდამთავრებულს სურს დიპლომის დანართის ინგლისურ ვარიანტში სახელის მითითება განსხვავებული პრინციპით, მან შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

1.3 დაბადების თარიღი: (დღე/თვე/წელი): *მიუთითეთ კურსდამთავრებულის დაბადების რიცხვი, თვე, წელი ციფრებით (ნიმუში: 01. 01. 2009).*

1.4 სტუდენტის საიდენტიფიკაციო ნომერი ან კოდი (თუ არსებობს): *მიუთითეთ მოქალაქის პირადი თერთმეტნიშნა ნომერი (მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით).*

---

[1] დიპლომის დანართის შევსების დროს გამოყენებულ უნდა იქნას შრიფტი Sylfaen.

შენიშვნა: თუ მომავალში თსუ–ს სტუდენტებს მიენიჭებათ საიდენტიფიკაციო კოდი, მაშინ იგი დამატებით ჩაიწერება დიპლომის დანართის აღნიშნულ პუნქტში.

2. კვალიფიკაციის საიდენტიფიკაციო ინფორმაცია

2.1 კვალიფიკაციის დასახელება და (თუ არსებობს) მინიჭებული წოდება (ორიგინალის ენაზე): *მიუთითეთ: დიპლომირებული სპეციალისტი (პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში) / დიპლომირებული მედიკოსი / ბაკალავრის აკადემიური ხარისხი / მაგისტრის აკადემიური ხარისხი / დოქტორის აკადემიური ხარისხი.*

აღნიშნული პუნქტის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ ლისაბონის კონვენციის I განყოფილების 1.1. კარის თანახმად, „უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია არის ხარისხის დამადასტურებელი ნებისმიერი საბუთი, დიპლომი ან სერტიფიკატი, გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რომელიც ადასტურებს უმაღლესი განათლების პროგრამის წარმატებით დასრულებას“. ამდენად, ***კვალიფიკაცია ნიშნავს მინიჭებულ აკადემიურ ხარისხს.***

აღნიშნული პუნქტის შევსებისას გაითვალისწინეთ აგრეთვე, რომ ერთიანი ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი უნდა მიეთითოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 18 ნოემბრის # 633 ბრძანების, ხოლო მაგისტრის და დოქტორის აკადემიური ხარისხი – თსუ აკადემიური საბჭოს სპეციალური დადგენილების შესაბამისად.

შენიშვნა: თუ თსუ–ს ამა თუ იმ საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული იღებს ორმაგ კვალიფიკაციას, ანუ ორმაგ აკადემიურ ხარისხს (ე. წ. double degree), ეს ინფორმაცია უნდა მიეთითოს აღნიშნულ პუნქტში. მაგალითად, თსუ ზუსტ და საბუნებიმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის „კომპიუტერული ტექნოლოგიების“ ქართულ–ფრანგული საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს დიპლომის დანართში (2.1 პუნქტი) უნდა მიეთითოთ, რომ იღებენ როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ისე ვერსალ სენ–კანტენის ბაკალავრის ხარისხს.

2.2 კვალიფიკაციის სწავლების ძირითადი დარგ(ებ)ი: *მიუთითეთ შესაბამისი: პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა / საბაკალავრო პროგრამა / დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამა / სამაგისტრო პროგრამა ან მისი სასპეციალიზაციო მოდული / სადოქტორო პროგრამა.*

იხილეთ 2.1 და 2.2. პუნქტების შევსების მაგალითები:

კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, სწავლების ძირითადი დარგი: კლასიკური ფილოლოგია; კვალიფიკაცია: ფილოლოგიის მაგისტრი, სწავლების ძირითადი დარგი: გერმანული ენათმეცნიერება.

კვალიფიკაცია: საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ბაკალავრი, სწავლების ძირითადი დარგი: ფიზიკა; კვალიფიკაცია: ქიმიის მაგისტრი, სწავლების ძირითადი დარგი: ორგანული ქიმია.

კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერების ბაკალავრი, სწავლების ძირითადი დარგი: ჟურნალისტიკა; კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის მაგისტრი; სწავლების ძირითადი დარგი: შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია.

კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერების ბაკალავრი, სწავლების ძირითადი დარგი: ეკონომიკა; კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, სწავლების ძირითადი დარგი: საფინანსო და საბანკო საქმე.

კვალიფიკაცია: სამართალმცოდნეობის ბაკალავრი; სწავლების ძირითადი დარგი: სამართალმცოდნეობა; კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი, სწავლების ძირითადი დარგი: სამართალი.

კვალიფიკაცია: მედიცინის ბაკალავრი, სწავლების ძირითადი დარგი: ოკუპაციური თერაპია; კვალიფიკაცია: დიპლომირებული მედიკოსი, სწავლების ძირითადი დარგი: სამკურნალო საქმე და სხვ.

კურსდამთავრებულის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, აღნიშნულ პუნქტში უნდა მიეთითოს ე. წ. დამატებითი სპეციალობა (დამატებითი სპეციალობები) ასეთის არსებობის შემთხვევაში. თუ სტუდენტმა შეძლო დაუფლებოდა ორ ძირითად სპეციალობას, მაშინ ეთითება ორივე მათგანი როგორც სწავლების ძირითადი დარგები. მაგალითად:

კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, სწავლების ძირითადი დარგები: ისტორია (ძირითადი სპეციალობა), ხელოვნებათმცოდნეობა (დამატებითი სპეციალობა);

კვალიფიკაცია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი, სწავლების ძირითადი დარგები: ქართული და ინგლისური ფილოლოგია (ორი ძირითადი სპეციალობა).

2.3 კვალიფიკაციის მიმნიჭებელი დაწესებულების დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე): *მიუთითეთ: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დაარსებული 1918 წელს (www.tsu.edu.ge), აკრედიტებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის, განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ (საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელმწიფო საკრედიტაციო სამსახურის დირექტორის 2006 წლის 27 ოქტომბრის გრძანება # 100/ა).*

შენიშვნა: გერმანული და ევროპული სამართლის სამაგისტრო პროგრამების (L.L.M) შემთხვევაში, კვალიფიკაციის (L.L.M) მიმნიჭებელი უმაღლესი სასწავლებელი არის კიოლნის უნივერსიტეტი (გერმანია), ხოლო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის დაწესებულება, რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი, რაც უნდა მიეთითოს პუნქტში 2.4.

კომპიუტერული ტექნოლოგიების ქართულ–ფრანგული საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში, კვალიფიკაციის მიმნიჭებელი არის როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისე ვერსალ–სენ–კანტენის უნივერსიტეტი (საფრანგეთი), ხოლო სწავლების პროცესი ქართულ უნივერსიტეტში ხორციელდება.

2.3 პუნქტის შევსებისას კვალიფიკაციის (აკადემიური ხარისხის) მიმნიჭებელი უცხოური უნივერსიტეტების სახელწოდება უნდა მიეთითოს როგორც ქართულად, ისე ორიგინალის ენაზე (ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში გერმანულად და ფრანგულად).

2.4 იმ დაწესებულების (თუ განსხვავდება 2.3-სგან) დასახელება და სტატუსი (ორიგინალის ენაზე), რომელშიც განხორციელდა სწავლების პროცესი: *მიუთითეთ: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.*

2.5 სწავლების/გამოცდის ენა (ენები): *მიუთითეთ კონკრეტული სასწავლო პროგრამის სწავლების და გამოცდის ენა (ენები): ქართული / ინგლისური / გერმანული / ფრანგული / რუსული და სხვ.*

3. ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის შესახებ

3.1 კვალიფიკაციის დონე: *მიუთითეთ: დიპლომირებული სპეციალისტი (I საფეხურის ქვესაფეხური) / ბაკალავრის აკადემიური ხარისხი (I საფეხური) / დიპლომირებული მედიკოსი (ერთსაფეხურიანი) / მაგისტრის აკადემიური ხარისხი (II საფეხური) / დოქტორის აკადემიური ხარისხი (III საფეხური).*

მიუთითეთ აგრეთვე, რომ კვალიფიკაციის შესაბამისი დონე განმარტებულია დიპლომის დანართის მე–8 პუნქტში.

დიპლომის დანართის 3.1 პუნქტის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ 2007-2008 სასწავლო წლის დაწყებამდე ჩარიცხულ პირებზე არანაკლებ 5-წლიანი სამედიცინო (მათ შორის, სავეტერინარო მედიცინის) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად გაიცემა დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) დიპლომი, რომელიც გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან.

3.2 პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობა: *მიუთითეთ კონკრეტული სასწავლო პროგრამის შესაბამისად – დიპლომირებული სპეციალისტი: 4 ან 6 სემესტრი (120 ან 180 ECTS კრედიტი) / ბაკალავრი: 8 სემესტრი (240 ECTS კრედიტი) / / დიპლომირებული მედიკოსი: 10 სემესტრი (300 ECTS კრედიტი) ან 12 სემესტრი (360 ECTS კრედიტი) / მაგისტრი: 4 სემესტრი (120 ECTS კრედიტი) / დოქტორი: 6 სემესტრი (180 ECTS კრედიტი).*

3.3 მიღების მოთხოვნები: *მიუთითეთ პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო და დიპლომირებული მედიკოსის პროგრამებზე, ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში მიღების ზოგადი (ეროვნული) და საუნივერსიტეტო მოთხოვნები, გარდა ამისა, ამა თუ იმ სასწავლო პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობები. მაგალითად, ამა*

თუ იმ უცხოური ენის ცოდნა გარკვეულ დონეზე და სხვ.

აღნიშნული პუნქტის შევსებისას გაითვალისწინეთ, რომ 2005–2006 სასწავლო წლიდან საქართველოს მოქალაქეებისთვის ბაკალავრიატში და დიპლომირებული მედიკოსის სასწავლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების (ეეგ) შედეგების საფუძველზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ხორციელდება ზოგად უნარებში ერთიანი ეროვნული გამოცდების (ეეგ) შედეგების საფუძველზე.

2007–2008 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან 2008–2009 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრამდე მაგისტრატურაში მიღება ხორციელდებოდა შესაბამის სპეციალობასა და უცხოურ ენაში (ინგლისურ / გერმანულ / ფრანგულ / რუსულ ენაში არანაკლებ B1 დონეზე) გამოცდების წარმატებით ჩაბარების საფუძველზე.

2009–2010 სასწავლო წლიდან მაგისტრატურაში მიღება ხორციელდება ერთიანი სამაგისტრო გამოცდის და შესაბამის სპეციალობაში გამოცდის (გამოცდების) ჩაბარების საფუძველზე. ცალკეულ სამაგისტრო პროგრამას აქვს დამატებითი მოთხოვნა: გამოცდა რომელიმე უცხოურ ენაში.

4. ინფორმაცია შინაარსსა და მიღწეულ შედეგებზე

4.1 სწავლების ფორმა: *მიუთითეთ: დასწრებული.*

შენიშვნა: მომავალში თსუ–ს სასწავლო პროგრამების სპეციფიკიდან და სწავლების ფორმიდან გამომდინარე, შეიძლება მიეთითოს: დისტანციური სწავლება, ე. წ. შენაცვლებითი (წყვეტილი) ანუ „სენდვიჩის“ პრინციპით სწავლება და სხვ.

4.2 პროგრამის მოთხოვნები: *წარმოადგინეთ სასწავლო პროგრამის მოკლე აღწერილობა, სადაც მითითებული იქნება: ა) ინფორმაცია შესაბამისი ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტრუქტურის შესახებ (იძლევა თუ არა ე. წ. ძირითადი და დამატებითი სპეციალობების კომბინირების საშუალებას და სხვ.), ბ) შესაბამისი სასწავლო პროგრამის მიზნები; გ) სასწავლო პროგრამის შედეგები (სასურველია, რომ შედეგების აღწერა მოხდეს დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციებით); დ) სასწავლო პროგრამის სტრუქტურა: ინფორმაცია მოდულების შესახებ, სავალდებულო და არჩევითი საგნების თანაფარდობა, საფაკულტეტო და ე. წ. თავისუფალი საგნებისთვის განკუთვნილი კრედიტების რაოდენობა, ინფორმაცია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების სტატუსის, სასწავლო პრაქტიკის შესახებ, და სხვ.*

შენიშვნა: აღნიშნული პუნქტის შევსებაში მონაწილეობენ: შესაბამისი სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელი (კოორდინატორი), შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრი შესაბამისი მიმართულებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში),

შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

4.3 პროგრამის დეტალები: (მაგ. შესწავლილი მოდულები და ერთეულები) და მიღებული ინდივიდუალური ნიშნები/ შეფასებები/ კრედიტები: (თუ არსებობს, უნდა დაერთოს ოფიციალური ნიშნების ფურცელი (ტრანსკრიპტი) *გთხოვთ, შეავსოთ შემდეგი ცხრილი:*

ბაკალავრიატი

სასწავლო კურსის კოდი (არსებობის შემთხვევაში)	**სასწავლო კურსის დასახელება**	**ECTS კრედიტი**	**შეფასება**
ძირითადი სპეციალობა			
საფაკულტეტო სასწავლო კურსები			
ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები			
ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები			

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსები სხვა საგანმანათლებლო პროგრამებიდან (იგულისხმება ე. წ. თავისუფალი კრედიტების ასაღებად გავლილი სასწავლო კურსები)			
დამატებითი სპეციალობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)			
დამატებითი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები			
დამატებითი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები			
	საბაკალავრო ნაშრომი (არსებობის		

	შემთხვევაში)		
	პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)		

დიპლომის საშუალო ქულა (GPA): _____

შენიშვნა: შეფასების გრაფაში ეთითება როგორც ქულა, ისე მისი შესატყვისი ლათინური ასო (A-F).

მაგისტრატურა

სასწავლო კურსის კოდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	**სასწავლო კურსის დასახელება**	**ECTS კრედიტი**	**შეფასება**
პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები			
მოდულის სავალდებულო სასწავლო კურსები			

მოდულის არჩევითი სასწავლო კურსები			
	სამაგისტრო ნაშრომი		
	პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)		

დიპლომის საშუალო ქულა (GPA): _____

შენიშვნა: შეფასების გრაფაში ეთითება როგორც ქულა, ისე მისი შესატყვისი ლათინური ასო (A-F).

4.4 შეფასებების სისტემა და, თუ შესაძლებელია, შეფასებების განაწილების ინსტრუქცია:

2005 წლამდე სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდებოდა შემდეგი სისტემით: „ფრიადი (5)“, „კარგი (4)“, „დამაკმაყოფილებელი (3)“, „არადამაკმაყოფილებელი (2)“, „ჩათვლა“, „არჩათვლა“.

სტუდენტის შეფასება წარმოებდა შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობის %	*შეფასება*	*შეფასების კლასიფიკაცია*
85% და მეტი	*„ფრიადი“ (5)*	*დადებითი*
70% – 84%	*„კარგი“ (4)*	*დადებითი*
50% – 69%	*„დამაკმაყოფილებელი“ (3)*	*დადებითი*
50%–ზე ნაკლები	*„არადამაკმაყოფილებელი“ (2)*	*უარყოფითი*
50% და მეტი	*„ჩათვლა“*	*დადებითი*
50%–ზე ნაკლები	*„არჩათვლა“*	*უარყოფითი*

2005 წლიდან სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „საშუალო“, „დამაკმაყოფილებელი“, „არადამაკმაყოფილებელი“, „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“.

სტუდენტის შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	*შეფასება*	*შეფასების კლასიფიკაცია*
91 -100	*„ფრიადი“*	*დადებითი*
81 - 90	*„ძალიან კარგი“*	*დადებითი*
71 - 80	*„კარგი“*	*დადებითი*
61 - 70	*„საშუალო“*	*დადებითი*
51 - 60	*„დამაკმაყოფილებელი“*	*დადებითი*
41 - 50	*„არადამაკმაყოფილებელი“*	*უარყოფითი*
0 - 40	*„სრულიად არადამაკმაყოფილებელი“*	*უარყოფითი*

2008 წლიდან სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: „ფრიადი“, „ძალიან კარგი“, „კარგი“, „დამაკმაყოფილებელი“, „საკმარისი“, „ვერ ჩააბარა“, „ჩაიჭრა“.

სტუდენტის შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობიდან	*შეფასება*	*შეფასების კლასიფიკაცია*
90 %–ზე მეტი	*(A) „ფრიადი“*	*დადებითი*
81 % - 90 %	*(B) „ძალიან კარგი“*	*დადებითი*
71 % - 80 %	*(C) „კარგი“*	*დადებითი*
61 % - 70 %	*(D) „დამაკმაყოფილებელი“*	*დადებითი*
51 % - 60 %	*(E) საკმარისი*	*დადებითი*

41 % - 50 %	*(FX) ვერ ჩააბარა (ეძლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება)*	*უარყოფითი*
0 – 40 %	*(F) ჩაიჭრა (საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი)*	*უარყოფითი*

ამა თუ იმ სასწავლო კურსის საბოლოო ნიშანი განისაზღვრება სტუდენტის მიერ სწავლების შესაბამის ფორმებზე (დასწრება, ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება და სხვ.) შუალედური შეფასებებისა და ფინალური (საგამოცდო) შეფასებების ჯამით.
შენიშვნა: 4.4. პუნქტში მიუთითეთ შეფასების ის სისტემა (სისტემები), რომლებიც მოქმედებდა უნივერსიტეტში შესაბამისი კურსდამთავრებულის სწავლის პერიოდში.

4.5 კვალიფიკაციის სრული კლასიფიკაცია (ორიგინალის ენაზე): *თუ კურსდამთავრებულის დიპლომის საშუალო ქულა (GPA) არის არანაკლებ 3.5, მაშინ მას ეძლევა დიპლომი წარჩინებით, სხვა შემთხვევაში – ჩვეულებრივი დიპლომი.*

5. ინფორმაცია კვალიფიკაციის ფუნქციის შესახებ

5.1 დაშვება სწავლების შემდგომ საფეხურზე: *პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულ დიპლომირებულ სპეციალისტს მიუთითეთ: უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს ბაკალავრიატში.*

ბაკალავრს მიუთითეთ: უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში.

მაგისტრს მიუთითეთ: უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში.

5.2 პროფესიული სტატუსი (თუ ასეთი არსებობს): *მიუთითეთ, დასაქმებისა და პროფესიული საქმიანობის რა უფლება აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის მფლობელს და რომელი კომპეტენტური ორგანო აძლევს მას ამ უფლებას. მიუთითეთ, ეს კვალიფიკაცია იძლევა თუ არა დაშვებას „რეგულირებად პროფესიაში“.*

შესაძლებელია ამგვარი ფორმულირება: ა) აღნიშნული სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დაიკავოს შესაბამისი თანამდებობა და განახორციელოს პროფესიული საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ან ბ) აღნიშნული სასწავლო პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს უფლება იმუშაოს სწავლების ძირითადი დარგის (დარგების) შესაბამისად.

6. დამატებითი ინფორმაცია

6.1 დამატებითი ინფორმაცია: *აღნიშნულ პუნქტში შესაძლებელია მოყვანილ იქნას დამატებითი ინფორმაცია კვალიფიკაციის ხასიათის, დონის და გამოყენების შესახებ; მაგალითად, რომ სწავლის (შესაბამისი კვალიფიკაციის მოპოვების) პროცესი მოიცავს სწავლის/პრაქტიკის პერიოდს სხვა სასწავლებელში/უცხოეთის ამა თუ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/ამა თუ იმ საწარმოში. შესაძლებელია დაურთოთ ინფორმაცია აღნიშნული დაწესებულების/დაწესებულებების, ან თავად თსუ–ს შესახებ.*

6.2 დამატებითი ინფორმაციის წყაროები: *შესაძლებელია მიუთითოთ: უნივერსიტეტის, შესაბამისი ფაკულტეტის, ინსტიტუტის, დეპარტამენტის, კათედრის ვებ–გვერდის მისამართი (www.tsu.edu.ge და სხვ.); გარდა ამისა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (www.mes.gov.ge), სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის (www.nea.ge), გამოცდების ეროვნული ცენტრის (www.naec.ge) ვებ–გვერდები და სხვ.*

7. დანართის დამოწმება

7.1 თარიღი: *მიუთითეთ დიპლომის დანართის გაცემის თარიღი, რაც შეიძლება არ დაემთხვეს კვალიფიკაციის მინიჭების თარიღს.*

7.2 ხელმოწერა:

7.3 თანამდებობა:

დიპლომის დანართს ხელმოწერით ადასტურებენ ფაკულტეტის დეკანი და უნივერსიტეტის რექტორი.

7.4 ოფიციალური შტამპი ან ბეჭედი: *დიპლომის დანართზე დაისმის უნივერსიტეტის ბეჭედი.*

8. ინფორმაცია უმაღლესი განათლების ეროვნული სისტემის შესახებ

(დაწესებულება, რომელსაც სურს დიპლომის დანართის გაცემა, უნდა გაეცნოს განმარტებით ბარათს იმის გასარკვევად, როგორ შეივსოს ფორმა)

საქართველოს განათლების სისტემა

სკოლის სისტემის სტრუქტურა

დაწყებითი სკოლა მოიცავს 6 წლიან სწავლებას.

საბაზო სკოლა მოიცავს 3 წლიან სწავლებას. საბაზო განათლება სავალდებულოა. საბაზო სკოლის შემდგომ შესაძლებელია სახელობო განთლების მიღება.

საშუალო სკოლა მოიცავს 3* წლიან სწავლებას, რისი დამთავრების შემდეგაც ეძლევათ საშუალო განათლების ატესტატი.

უმაღლესი განათლების სისტემა:

საქართველოში არსებობს სამი ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება: კოლეჯი, ინსტიტუტი, უნივერსიტეტი. უმაღლესი განათლება სამ საფეხურიანია: ბაკალავრიატი - 240 კრედიტი, მაგისტრატურა - 120 კრედიტი და დოქტორანტურა - 180 კრედიტი. აგრეთვე არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა, რომელიც წარმოადგენს პირველი საფეხურის ფარგლებში არსებულ დონეს – 120-180 კრედიტი და ერთსაფეხურიანი სამედიცინო (სავეტერინარო) განათლება - 300-360 კრედიტი.

სახელმწიფო ცნობს მხოლოდ აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომებს. აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამონათვალის ნახვა შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: www.nea.ge

დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლების ატესტატი. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ დიპლომირებული სპეციალისტის დიპლომი.

სამედიცინო (ვეტერინარული) განათლება - სამედიცინო განათლებაზე დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლების ატესტატი. პროგრამის დამთავრების შემდეგ გაიცემა დიპლომირებული მედიკოსის (ვეტერინარის) დიპლომი.

ბაკალავრიატი - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საშუალო განათლების ატესტატი. საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება შეუძლია ასევე დიპლომირებულ სპეციალისტს. პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ ბაკალავრის დიპლომი, წარმატებულ სტუდენტებს კი ბაკალავრის დიპლომი წარჩინებით;

მაგისტრატურა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. მისი დასრულების შემდეგ სტუდენტებს ენიჭებათ მაგისტრის აკადემიური ხარისხი (დიპლომი), წარმატებულ სტუდენტებს კი მაგისტრის დიპლომი წარჩინებით;

დოქტორანტურა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა მაგისტრის დიპლომი ან მასთან გათანაბრებული დიპლომი. მისი დასრულების და სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდეგ დოქტორანტურის კურსდამთავრებულს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

უმაღლეს სასწავლებელში შესვლის პირობები:

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელმწიფო აკრედიტებული

---

* 3 წლიანი სწვალება 2006-2007 სასწავლო წლიდან.

პროგრამით სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები. სახელოვნებო და სასპორტო უმაღლესი განათლების მისაღებად აბიტურიენტები ერთიან ეროვნულ გამოცდამდე გადიან შესაბამის კონკურსს სასპორტო და სახელოვნებო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით.

შეფასების სისტემა

უმაღლეს სასწავლებელში შეფასების სისტემა 100 ქულიანია.

საქართველოს განათლების სისტემა




1
3
2
1
საბაზო განათლება
6
5
4
3
2
1
დაწყებითი განათლება
5
4
3
სკოლამდელი განათლება

2
1